საქართველოს განათლების, მეცნიერების
კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო ქალაქ საგარეჯოს
საგანმანათლებლო რესურსცენტრი

Territorial Entity of the Ministry of
Education, Science Culture and Sport of Georgia
Sagarejo Educational Resource
Center

MES 8 19 00238204

27/02/2019

სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლის დირექტორს

ქალბატონ ლელა ფანოზიშვილს

ქალბატონო ლელა,

თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის N225713 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში ფართის იჯარით გაცემას, გიგზავნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 26 თებერვლის N234589 წერილს და გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 05 მაისის N410 ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციებისა და იჯარის ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (სანიტარული ნორმების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობით, არაუმეტეს ერთი წლის ვადით) გაიცეს, სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კ N55.12.51.070) 52.91 კვ.მ. ფართი მოძრავ ქონებასთან ერთად - სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტი) ფუნქციონირების მიზნით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N328 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში, შემდგომში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადეგენად უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნა

იხ. საფუძვლები.

პატივისცემით,

კახეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ
საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
ცუცქირიძე მანანა